



01.09.2014 14:27

- [მთავარი](#)
- [ახალი ამბები](#)
 - [პოლიტიკა](#)
 - [საზოგადოება](#)
 - [ადამიანის უფლებები](#)
 - [განათლება](#)
 - [ეკოლოგია](#)
 - [კულტურა](#)
 - [ეკონომიკა](#)
 - [ტექნოლოგიები](#)
 - [სპორტი](#)
- [სტატიები](#)
- [მულტიმედია](#)
- [კონფლიქტის ზონა](#)
- [მედია](#)
- [ვაკანსია](#)
- [არქივი](#)
- [კონტაქტი](#)

[მთავარი](#) » [სტატიები](#) » ირაკლი მაჭარაშვილი - 17 მაისის ღვარცოფის შემდეგ ჰესის მშენებლობა აღარ უნდა გაგრძელდეს

ირაკლი მაჭარაშვილი - 17 მაისის ღვარცოფის შემდეგ ჰესის მშენებლობა აღარ უნდა გაგრძელდეს

2014.08.21 | 11:22

Like 252

Tweet 0



გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაცია „მწვანე ალტერნატივას“ წარმომადგენლის ირაკლი მაჭარაშვილის განცხადებით, გარემოს დაცვის სამინისტროს და ჰესის ადმინისტრაციას 17 მაისს ხეობაში ჩამოწოლილი ღვარცოფის შემდეგ ჰესის მშენებლობა უნდა შეეჩერებინა.

მაჭარაშვილის თქმით, პირველი ღვარცოფის შემდეგ, მთის მასის ჩამოწოლა კიდევ იყო მოსალოდნელი და შესაბამის უწყებებს ეს უნდა გაეთვალისწინებინათ.

„პირველი ღვარცოფის შემდეგ ისევ რომ მოხდებოდა ეს უბედურება ყველამ ვიცოდით, რადგან მაშინ დაახლოებით 5 მილიონი კუბური მეტრი ინერტული მასა მოწყდა და მხოლოდ 1 ტონა ჩამოვიდა, დანარჩენი ამინდებიდან გამომდინარე ადრე თუ გვიან ჩამოვიდოდა. ეს იყო გამოცხადებული სიკვდილის ქრონიკა. ჩვენ მოლოდინი გვქონდა, რომ გარემოს დაცვის სამინისტრო და ჰესის მშენებელი კომპანია მეტი პასუხისმგებლობით მოეკიდებოდა ამ საკითხს. რომ ნახეს გზს-ს ანგარიში არასწორად იყო შედგენილი და ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა არასწორად იყო გაცემული, უნდა გადაეფიქრებინათ მშენებლობა, ან დიზაინი შეეცვალათ. ახლა კიდევ ჩამოწვა ღვარცოფი და მუშები არიან მოყოლილი. 17 მაისის ღვარცოფის შემდეგ მშენებლობა აღარ უნდა გაგრძელდეს იგივე დიზაინით. საკუთარ შეცდომებზე თუ ვერ ისწავლეს რაზე უნდა ისწავლონ აღარ ვიცი. მაშინ გააგრძელონ მუშაობა და ხოცონ მუშები. ფაქტი ერთია, რომ ამ დიზაინით ჰესი ფუნქციონირებას ვერ გააგრძელებს, რადგან პირდაპირ მეწყერის წინ შენდება“, - განუცხადა მცხეთა-მთიანეთის საინფორმაციო ცენტრს ირაკლი მაჭარაშვილმა.

მცხეთა-მთიანეთის საინფორმაციო ცენტრი კომენტარისთვის ჰესის მშენებელი კომპანია „ფერის“ ერთ-ერთ ხელმძღვანელს ლაშა იორდანიშვილს დაუკავშირდა. მან კომენტარის გაკეთებაზე უარი თქვა. „თქვენ ხომ ირაკლი მაჭარაშვილის კომენტარი გირჩევიათ. ახლა ინტენსიური სამუშაოები მიმდინარეობს, ხეობის გადარჩენას ვცდილობთ“, - აღნიშნა

იორდანიშვილმა.

შეგახსენებთ, 20 აგვისტოს 22 საათზე, დარიალის ხეობაში უხვი ატმოსფერული ნალექის შედეგად წინა, 17 მაისის ღვარცოფული მოვლენის დროს დარჩენილი მასის გადმოტანა მოხდა. დარიალის ხეობაში ავტოტრანსპორტის მოძრაობა აკრძალულია. მიმდებარე ტერიტორია დატბორილია. არსებული ინფორმაციით [დაკარგულია 2 ადამიანი](#), ერთი საქართველოს, მეორე კი თურქეთის მოქალაქეა. ისინი ჰესის მშენებლობაზე მუშაობდნენ. მათველები დაკარგულების ძებნის სამუშაოების დაწყებას ჯერ ვერ ახერხებენ.

20 მეგავატი სიმძლავრის „ლარსი ჰესის“ მშენებლობა მდინარე თერგზე 2012 წელს დაიწყო, ჰესის მშენებლობას გარემოსდამცველები აპროტესტებდნენ და აცხადებდნენ რომ პროექტი გარემოზე უარყოფით ზეგავლენას მოახდენდა.

Like 252

Tweet 0

ყველა განცხადება ერთ საიტზე



- ყიდვა-გაყიდვა
- გაქირავება
- ვაკანსიები
- ტენდერები
- მომსახურება



Add a comment...

Also post on Facebook

Posting as Natalia Ksovreli (Change)

Comment



Tea Darakhvelidze · Top Commenter · GPI

rodemde unda gagrdzeldes uyuradgeboba da araprofesionalizmi????????????

Reply · Like · 1 · Follow Post · August 21 at 3:53pm



Nino Xetaguri

sanam hesis msheneblobas arshewyeten manam gagrzeldeba es ubedurebebi da yazbegelebma da udanashaulo mushebma ra davashavetki arvici

Reply · Like · Follow Post · August 22 at 2:37pm

Facebook social plugin